საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/104

ქ. ბათუმი 06 ივნისი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ავტორიზაციისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დირექტორის 2023 წლის 2 ივნისის №637448 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ავტორიზაციის უწყვეტობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და მომდევნო ავტორიზაციისათვის (2024 წლის 27 აგვისტო) უნივერსიტეტის თვითშეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1 განისაზღვროს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით **ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფის** შემდეგი შემადგენლობა:

ა) მერაბ ხალვაში - ბსუ-ს რექტორი, თავმჯდომარე;

ბ) ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მადონა მიქელაძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, თავმჯდომარის მოადგილე;

დ) მერაბ დიასამიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ე) თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე;

ვ) ანზორ ბერიძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე;

ზ) მარინე გიორგაძე - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

თ) ირინე ბერიძე - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

ი) ჟანა ჯიბლაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

კ) ხათუნა ხალვაში - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსი;

ლ) ზვიად ბერაძე - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;

მ) ნინო დოლიძე - ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

ნ) გიორგი თავამაიშვილი - ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორი;

ო) ედიშერ ჩავლეიშვილი - ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

პ) როლანდ ხალვაში - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ჟ) ლევან ტარიელაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;

რ) მამუკა გოგელია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

ს) ჯილდა აბაშიძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.

1.2 განისაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი აქტივობები (შემდეგში - სამუშაო გეგმა) და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად;

1.3 ბსუ-ს თვითშეფასების პროცესი წარიმართოს (ბსუ-ს რესურსების, რეგულაციების, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის, მოღწეული შედეგების და მისაღწევი შედეგებისთვის შესაძლებლობების შეფასება) ბსუ-ს თვითშეფასების ჯგუფისა და წინამდებარე ბრძანების დანართში აღნიშნული პირების მიერ, ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეულების პერსონალის, წარმომადგენლობითი საბჭოს და აკადემიური საბჭოს წევრების, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დამსაქმებლების, პარტნიორი დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით (მათი ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნეს თვითშეფასების ჯგუფის წევრების მიერ), **კერძოდ:**

ა) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრების - ბსუ-ს რექტორის <u>მერაბ ხალვაშის</u> მიერ, ხოლო ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის <u>მერაბ დიასამიძის</u> მიერ;

ბ) პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ–ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის ჯგუფის წევრების - ბსუ-ს რექტორის მოადგილის, ჯგუფის თავმჯდომარის <u>თამარ სირაძის</u> მიერ;

გ) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის <u>ვლადიმერ ღლონტისა</u> და ბსუ-

ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის ჯილდა აბაშიძის მიერ;

დ) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის მიერ;

ე) ბსუ-ს პროფესიული სტუდენტების - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ლევან ტარიელაძის მიერ;

ვ) ბსუ-ს ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულების პერსონალის - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მერაბ დიასამიძის მიერ;

ზ) დამსაქმებლების, პარტნიორი დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული პირების - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის მიერ.

1.4 ბსუ-ს თვითშეფასების პროცესი წარიმართოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად;

1.5 ბსუ-ს თვითშეფასებისა და მომდევნო ავტორიზაციის მზადების პროცესის ადმინისტრირება/კოორდინირება წარიმართოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით/კოორდინირებით და წარმოდგენილი იქნეს:

ა) არაუგვიანეს 2023 წლის 20 სექტემბრისა - **შუალედური ანგარიში**, წინამდებარე ბრძანების N1 დანართით განსაზღვრული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის დასრულების ან შესრულების მიმდინარეობის თაობაზე (ეფექტურად განხორციელებისთვის სხვა დამატებითი საჭიროებების მითითებით);

ბ) არაუგვიანეს 2023 წლის 30 ნოემბრისა - **საბოლოო ანგარიში**, წინამდებარე ბრძანების N1 დანართით განსაზღვრული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შესაბამისი სტანდარტის ნაწილში შევსებული ავტორიზაციის თვითშეფასების პროექტი, მტკიცებულებები, ინდიკატორები.

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, სტრუქტურულ ერთეულებს და ბრძანების დანართში აღნიშნულ პირებს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

“ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ავტორიზაციისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ”

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 06 ივნისის N 01-02/104 ბრძანების

დანართი N1

“ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ავტორიზაციის (2024 წ.)
პროცესისათვის პსდ-ს სტანდარტების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები
(სამუშაო გეგმა)

შენიშვნა: თითოეული სტანდარტის მიხედვით მარჯვნიდან პირველ სვეტში მითითებული ბსუ-ს დასაქმებული (შემდეგში - შემსრულებელი) ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს შესაბამისი აქტივობა (რასაც ითვალისწინებს წინამდებარე დანართის შესაბამისი ველები), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრთან და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებულად და წარმოადგინოს შედეგები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები				
1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება				
კომპონენტი /კრიტერიუმი	ინდიკატორი	მტკიცებულებები	სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით განსახორციელებელი აქტივობა	აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი დასაქმებული (შემსრულებელი)
1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია				
1.1.1. პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი	პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;		ბსუ-ს მისიის გადახედვა; ბსუ-ს ხედვისა და ღირებულებების	ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში;

საგანმანათლებლო სივრცეში	მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან; დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები; მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.	ვებგვერდზე განთავსებული და წესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები; მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტი; დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.	განსაზღვრა, პროფესიული განათლების მიზნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით	**ბსუ-ს რექტორის მოადგილე თამარ სირაძე;** **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი მადონა მიქელაძე**
1.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება				
1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა	პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას; სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს; დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების	სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია; უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი), სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.	ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის <u>მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის გადახედვა;</u> სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობების გადახედვა;	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - **მადონა მიქელაძე,** ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საგარეოს ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი - **მარინე გიორგაძე;**

	ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.			
1.2.2. პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა	პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე; სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები და გეგმა; მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; პსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები; შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები; დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების გადახედვა; მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივო ბების გადახედვა.	**ბსუ-ს რექტორის მოადგილე - თამარ სირაძე;** **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - მადონა მიქელაძე;**
2. საგანმანათლებლო პროგრამები				
2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება				
2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და	პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას,	საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა); საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;	საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების <u>მეთოდოლოგიის გადახედვა;</u> საგანმანათლებლო <u>პროგრამების გადახედვა;</u>	**ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმერ ღლონტი** **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის**

შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად	რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;	საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით); პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს; დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო; საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი; დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.	პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ **სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია,** რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;	მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე;**

	პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.			
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი				
2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით	პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;	პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ; პსდ-ს მიერ <u>შევსებული ფორმა</u> პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო <u>მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;</u> ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; <u>პროგრამის ბიუჯეტი;</u> განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.	პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური, საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის გადახედვა/შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების <u>მდგრადობის შეფასება ფინანსური რესურსით</u> უზრუნველყოფილის კუთხით;	**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - ჯილდა აბაშიძე;** საგანმანათლებლო **პროგრამების ხელმძღვანელები;** **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფინანსური მენეჯერი - გურამ გვარიშვილი;** **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის**

	საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.			ბიბლიოთეკარი - **მარინა ბაგრატია;** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი - **შუქრი თურმანიძე.**
2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება				
2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით	პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელები ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ	საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა); პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევების შედეგების გადახედვა; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის	ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი **ვლადიმერ ღლონტი** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების

	განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.	უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი); <u>საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების ინიცირების წერილი;</u> საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები; განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.	შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის <u>სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;</u> საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტების შეგროვება.	ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე;** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი - **მამუკა გოგელია;** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი - **მანანა პატარაია.**
2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება				
2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას	პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;	საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო და კალენდარული გეგმები; პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები	საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კალენდარული გეგმების გადახედვა; პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან გაფორმებული	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი - **მამუკა გოგელია;**

	პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტ უდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებე ლ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.	/მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით; ინდ. სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში); დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე/ შრომის ინსპექციის ვიზიტის შედეგები და სხვა); განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.	ხელშეკრულებების /მემორანდუმების გადახედვა;	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი (საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი) - **ლელა ვერძაძე.**
2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფ ს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას	პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებუ ლებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას **შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**	სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის; შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდების, უწყისები და მტკიცებულებები;	ვერიფიკაციის დოკუმენტაციის გადახედვა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის გადახედვა; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების, კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე;** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო

	პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.	კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები; გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები; მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.	დოკუმენტების გადახედვა;	პროცესის მართვის მენეჯერი - **მამუკა გოგელია;** **ბსუ-ს** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი - **მანანა პატარაია.**
3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები				
3.1. პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა				
3.1.1. პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია	პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს; პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;	მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები; პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები; ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის	პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის, <u>პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების,</u>	**ბსუ-ს** რექტორის მოადგილე **თამარ სირაძე;** **ბსუ-ს** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე;** **ბსუ-ს** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი

	პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა; პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა; ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.	ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციის გადახედვა;	განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი - **მამუკა გოგელია;** ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - **ჟანა ჯიბლაძე;**
3.2. პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები				
3.2.1. პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება	პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას; პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე	ჩანაწერები, ოქმები და სხვა დოკუმენტები დაგეგმილი და/ან განხორციელებული <u>საკონსულტაციო, მხარდამჭერი მომსახურების შესახებ;</u> პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები; ჩანაწერები, ანგარიშები და სხვა დოკუმენტები განხორციელებული და/ან დაგეგმილი (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი) სტუდენტური ინიციატივების/აქტივობების/პროექტების და სხვ. შესახებ	პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეგროვება; პროფესიულ სტუდენტთა კვლევის **კითხვარის** და შედეგების გადახედვა;	სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი - **ლევან ტარიელაძე;** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის

	დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.	პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.		კოორდინატორი) - **ნინო გოგმაჩაძე**
3.2.2. პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება	კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის; პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს	პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებები; პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის შედეგების ანალიზი; ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია; პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.	პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება; კურსდამთავრებულების კვლევის შედეგების გადახედვა; ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეგროვება.	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე;** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის კოორდინატორი) - **ნინო გოგმაჩაძე.**
4.ადამიანური რესურსები				
4.1. პერსონალის და პროცესების მართვა				
4.1.1. პსდ-ს ორგანიზაციული	პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები <u>მკაფიოდაა</u> განსაზღვრული;	პსდ-ს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. წესდება, დებულება;	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების <u>ცენტრის</u>	ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას	პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას; პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.	პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები.	<u>დებულების გადახედვა;</u> გსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებების, პერსონალის სამუშაო აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა/გადახედვა; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციების გადახედვა; ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა/გადახედვა;	ხელმძღვანელი **ვლადიმერ ღლონტი** ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე** გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - **მადონა მიქელაძე** გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე;** გსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - **ჟანა ჯიბლაძე;** საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია)

				უფროსი **ხათუნა ხალვაში**
4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას	პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით; პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.	პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დანიშვნის აქტი/ შრომითი ხელშეკრულებები/ მომსახურეობის ხელშეკრულებები; პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები (მათ შორის პერსონალის მოზიდვის, შერჩევა/დანიშვნის პროცედურები); პერსონალის მართვის პოლიტიკის და რეგულაციების ხელმისაწვდომობა და მათ შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება; ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები; შინაგანაწესი; პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან/პირებთან ინტერვიუს შედეგები.	გსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკაში პროფესიული პროგრამების პერსონალის გათვალისწინება; გსუ-ს <u>შინაგანაწესის,</u> გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების <u>ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობის, საკვალიფიკაციოს მოთხოვნების, დანიშვნის</u> აქტების, შრომითი <u>ხელშეკრულებების გადახედვა;</u> გსუ-ში პერსონალის მოზიდვის, შერჩევა/დანიშვნის მექანიზმების, პერსონალის მართვის პოლიტიკის და რეგულაციების გადახედვა; ადმინისტრაციული <u>პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა.</u>	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე** გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - **მადონა მიქელაძე** გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე;** გსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - **ჟანა ჯიბლაძე;** გსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის

				(კანცელარია) უფროსი - **ხათუნა ხალვაში;**
4.2. პერსონალის განვითარება				
4.2.1. პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე	პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას; პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით; პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით; პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები; პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები; პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები; პერსონალის, მათ შორის მასწავლებლების განვითარების გეგმა/გეგმები; პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა; განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი; პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.	პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა, პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება, პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაციის, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.	**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - მადონა მიქელაძე** **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - ჯილდა აბაშიძე;** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსი - **ხათუნა ხალვაში;**
5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები				
5.1. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა				

5.1.1. პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას	დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის; დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით; დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას; პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც	<u>უძრავი ქონების</u> საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; <u>შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;</u> <u>მოძრავი ქონების,</u> მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; <u>ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის</u> გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები; <u>დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;</u> სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით <u>უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;</u> სასწავლო პროცესის ფარგლებში <u>შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია;</u> ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი <u>ნარჩენების მართვის რეგულაცია;</u> ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების	გსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის არსებობის, მათი პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომობის, შეფასებისა და განვითარების მექანიზმების გადახედვა; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადახედვა; სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - **მერაბ დიასამიძე;** გსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - **ედიშერ ჩავლეიშვილი;** მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - **როლანდ ხალვაში;** გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი - **მამუკა გოგელია;** გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური

	მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; . სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას; მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიო თეკო წესის შესაბამისად.	დამადასტურებელი დოკუმენტაცია; დაწესებულების მატერიალური <u>რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა;</u> შევსებული **სპეციალური ფორმა,** რომლითაც დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტ ორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის; <u>ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;</u> სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული	და განკარგვის მექანიზმების გადახედვა;	**უზრუნველყოფის მენეჯერი - შუქრი თურმანიძე.** **ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - ჯილდა აბაშიძე.**

		სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის <u>მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;</u> პსდ-ს მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები; <u>სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;</u> პროფესიულ სტუდენტებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.		
5.1.2. პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება	დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები; დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი; დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.	**პირველადი გადაუდებელი** დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით <u>პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;</u> პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების მექანიზმების/რეგულაციების/დასკვნების/ხელშეკრულებების გადახედვა (რაც ჩამოთვლილია მტკიცებულებების ველში)	ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - **ჯილდა აბაშიძე.** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი - **მამუკა გოგელია;**

		კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული **დასკვნა** <u>შენობის უსაფრთხოების შესახებ;</u> **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,** რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ; **დასკვნა** <u>შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის</u> შესახებ და არსებობის შემთხვევაში- გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე; <u>ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე</u> პასუხისმგებელ პირთან/ ორგანიზაციასთან; <u>შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა</u> (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) <u>და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის</u> ფუნქციით აღჭურვილი **უსაფრთხოების კამერების სისტემის** შემოწმების შედეგი.		ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - **ედიშერ ჩავლეიშვილი;** სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის ექიმ-თერაპევტი - **ეთერ ჯაყელი;**

5.2. საინფორმაციო რესურსები				
5.2.1. პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას	პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს; პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას; პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას; პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი); IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი; ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება; უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი; დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი; ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი; პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის	გსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადახედვა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების გადახედვა;	გსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი - **ზვიად ბერაძე;** გსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსი - **ხათუნა ხალვაში;** გსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - **ჟანა ჯიბლაძე**

		ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი.		
5.2.2. პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის; პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას; პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.	პსდ-ს <u>საქმისწარმოების წესი;</u> პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა); მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები და სხვ.;	გსუ-ს საქმისწარმოების წესის გადახედვა; პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების გადახედვა;	გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის კოორდინატორი) - **ნინო გოგმაჩაძე.** გსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსი - **ხათუნა ხალვაში;**
5.2.3. პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას	პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის	საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი; დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება; პსდ-ს მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში, იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას); ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული	გსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა; გსუ-ს ვებ-გვერდზე პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის	რექტორის მოადგილე **თამარ სირაძე** გსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ნინო დოლიძე;** გსუ-ს პროფესიული პროგრამების

	შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ; პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი; ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი; ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების - შემოწმების შედეგი; ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის **სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების,** სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების	საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ განთავსებული ინფორმაციის (კატალოგის) გადახედვა/განახლება. მტკიცებულებების ველში მითითებული აქტების/ინფორმაციის გადახედვა/მოპოვება.	მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის კოორდინატორი) - **ნინო გოგმაჩაძე.**

		<u>შედეგი</u> (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).		
5.3. ფინანსური რესურსები				
5.3.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია	პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება; საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით; დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას; დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.	მაძიებლის თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი **საპროგნოზო ბიუჯეტი;** <u>დაფინანსების დინამიკა;</u> <u>სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;</u> ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული **ფინანსური ანგარიშები;** პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.	ბსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის და ფინანსური მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადახედვა და ამ დანართის მტკიცებულებების ველში მითითებული მონაცემების შეგროვება/ინფორმაციის მომზადება.	ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე** ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი - **ირინე ბერიძე;** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფინანსური მენეჯერი - **გურამ გვარიშვილი.**